განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

დაბეგვრის სქემის ცვლილების გამო ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი“ კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას. სტანდარტით ბასს 12 - მოგების გადასახადი განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალი კორპორაციული დაბეგვრის მოდელით აღარ გამოიყენება.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. დღგ-ის ჩათვლა ჩვეულებრივ ხდება საგადასახადო ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანო იძლევა დღგ-ის ურთიერთჩათვლის საშუალებას. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარებულია ურთიერთჩათვლის საფუძველზე. მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ტარდება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მოყოლებული, მენეჯმენტი კომპანიის საგადასახადო ბალანსს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის ბრძანება 407-ის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება მათი გამოქვეყნების შემდეგ. გამოქვეყნების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების შესწორების უფლებამოსილება აქვთ კომპანიის აქციონერსა და მენეჯმენტს.

მთა დოქტორი

შპს „სევიერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას მოახდენს მომდევნო ფინანსური წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსოლირებულებებზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების კეთილგონიერ მოლოდინებს. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გამოთქვამს გარკვეულ ვარაუდებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ვარაუდები, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, და შეფასებები, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააკორექტიროს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, არის შემდეგი:

ფინანსური იჯარა და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. პირობების ანალიზის საფუძველზე, მენეჯმენტმა დაადგინა, რომ ფინანსური აქტივების მფლობელობის არსებითად ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი რჩება მოიჯარესთან. საბაზისო პირობები, რამაც იჯარის ფინანსურ იჯარად კლასიფიცირება გამოიწვია, შემდეგია:

- აქტივების იჯარის ვადა 10 წელია, ანუ აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის უდიდესი ნაწილი; ან
- იჯარის მიღებისას მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულება უტოლდება სულ მცირე საიჯარო აქტივის არსებით მთლიან სამართლიან ღირებულებას.

მოგების გადასახდის აღიარება. საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვანწილად ინტერპრეტაციას ექვემდებარება, რამაც შეიძლება საგადასახადო ორგანოების მხრიდან, ჩვეულებრივ, კრიტიკა დაიმსახუროს. ყველა საანგარიშო თარიღზე, ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახდის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ ნაკლებად სავარაუდოდ შენარჩუნდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან კრიტიკის შემთხვევაში იმ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომლებიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის. ჯარიმებზე, პროცენტებსა და გადასახადებზე აღებული ვალდებულებები აღიარებულია საანგარიშო თარიღისთვის ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე. ფაქტობრივი დარიცხვები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

მეკავშირე მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს მეკავშირე მხარეებთან. ბასს 39-ის საფუძველზე, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, თუ ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია არამეკავშირე მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასის განსაზღვრა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

ბილა ფაქტა

შპს „სფინცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

4. ფინანსური იჯარის მოთხოვნები

ფინანსური იჯარის მოთხოვნები (მთლიანი ინვესტიცია იჯარებში) და მათი მიმდინარე ღირებულებები იყო:

	1 წელიწადში დასაფარი	2-5 წელიწადში დასაფარი	5 წლის შემდეგ დასაფარი	სულ
ფინანსური იჯარის მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,528	9,056	6,132	19,716
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(2,550)	(3,691)	(964)	(7,205)
იჯარის მოთხოვნების მიმდინარე ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,978	5,365	5,168	12,511

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ფინანსურ იჯარაზე საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 813 ათასი ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური იჯარის მოთხოვნები არც ვადაგადაცილებული იყო და არც გაუფასურებული. ფინანსური იჯარის მოთხოვნის მთლიანი ნაშთი დენომინირებულია აშშ დოლარში.

ფინანსური იჯარის მოთხოვნები უზრუნველყოფილია საიჯარო აქტივებით, რადგან აქტივზე უფლება, კონტრაგენტის დეფოლტის შემთხვევაში, უბრუნდება კომპანიას. ამგვარი უზრუნველყოფა იყო:

	2020	2019
ფინანსური იჯარის მოთხოვნების უზრუნველყოფა: - საბუქსირე ხომალდები	12,511	11,698
სულ ფინანსური იჯარის მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,511	11,698

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა მხოლოდ არასრულყოფილად უზრუნველყოფილ აქტივებს. უზრუნველყოფად ფლობილი აქტივების ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ:

	არასრულყოფილად უზრუნველყოფილი აქტივები	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
ფინანსური იჯარის მოთხოვნების უზრუნველყოფა: - საბუქსირე ხომალდები	9,321	12,020

გიორგი ფაჩი

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო მოთხოვნები	609	17
სავაჭრო მოთხოვნები მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა #17)	388	162
სულ სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	997	179
გადახდილი ავანსები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	997	179

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არც ვადაგადაცილებული იყო და არც გაუფასურებული.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	1,961	3,303
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,961	3,303

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომელთა „ფიტჩის“ რეიტინგი არის BB-.

7. საწესდებო კაპიტალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „სვიცერ ეუროპ ჰოლდინგ ზ.კ.“ იყო 100%-იანი წილის მფლობელი. საწესდებო კაპიტალი მთლიანად შეტანილია ნაღდი ფულის სახით.

Handwritten signature

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

8. აღებული სესხები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
მეკავშირე მხარეებისგან აღებული სესხები (შენიშვნა #17)	12,388	10,385
დარიცხული პროცენტის გადასახდელები	39	30
სულ აღებული სესხები	12,427	10,415

აღებული სესხები წარმოდგენილია კომპანიასა და მის მეკავშირე მხარეს, „ა.პ. მოლერ-მარსკს“ შორის გაფორმებული კომპანიათაშორის სასესხო ხელშეკრულებით, რომელსაც დაფარვის ვადა გასდის 2020 წელს და ერიცხება საშუალო წლიური საკონტრაქტო განაკვეთი 12%. კომპანია ასრულებს ნახევარ-წლიან საპროცენტო გადახდებს.

სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მუხლში „ფინანსური ხარჯები“.

წმინდა სესხების შეფასება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია წმინდა სესხის ანალიზი და ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებათა მოძრაობა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	2020	2019
1 იანვარს	10,415	9,919
დამატება წლის განმავლობაში	-	-
წლიური საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა #14)	717	1,164
საპროცენტო გადახდები	(707)	(1,239)
ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი	2,002	571
სულ აღებული სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,427	10,415

9. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო გადასახდელები	352	275
სავაჭრო გადასახდელები მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა #17)	167	3,122
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელები	519	3,396

10. შემოსავალი

მთლიანი შემოსავალი მიიღება პორტში საბუქსირო და გვერდითი მომსახურებით, რომელსაც კომპანია უწევს სს „ფოთის საზღვაო პორტის კორპორაციას“ 2018 წლის 12 მარტის მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

	2020	2019
შემოსავალი ბუქსირიდან და სხვა მომსახურებებიდან	6,340	5,781
სულ შემოსავალი	6,340	5,781

2020 წლის 31 დეკემბერი

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

11. პერსონალის ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	1,188	1,053
დაზღვევის ხარჯები	49	35
პერსონალის ხარჯები მეკავშირე მხარეებისგან	-	29
გადაადგილების ხარჯი	5	57
სხვა ხარჯები	73	2
ქირის ხარჯები	96	23
პრემიები და სხვა ბენეფიტები	500	573
სულ პერსონალის ხარჯები	1,911	1,772

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	126	110
დაზღვევის ხარჯები	-	64
ქირის ხარჯები	-	58
მიწის ნაკვეთის ხარჯები	66	55
მანქანა-დანადგარების დაქირავების ხარჯები	-	39
ტრანსპორტირების ხარჯები	25	10
ლიცენზიის გადასახადები	-	5
სხვა ხარჯები	533	219
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	750	560

13. ფინანსური შემოსავალი

	2020	2019
ფინანსური შემოსავალი	2,055	1,193
საპროცენტო შემოსავალი	121	90
სულ ფინანსური შემოსავალი	2,176	1,282

14. ფინანსური ხარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	717	1,164
ვალუტის გაცვლით მიღებული ზარალი, წმინდა	2,265	259
სულ ფინანსური ხარჯები	2,982	1,423

200 ფ.ა.ა.

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

15. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები. დროდადრო ბიზნესის მიმდინარეობისას კომპანია იღებს საჩივრებს. მენეჯმენტისეული შეფასებისა და კომპანიის შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე, მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებული რეზერვის მიღმა საჩივრებისგან მატერიალური ზარალი მოსალოდნელი არ არის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და კანონმდებლობის ცვლილების, დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების სიხშირით ხასიათდება, რომლებიც არცთუ იშვიათად ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან ინტერპრეტაციის საგანია. გადასახადების გადახდა მოწმდება და ძიებას ექვემდებარება რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება, კომპანიას დააკისრონ მძიმე ჯარიმები, საურავები და პროცენტი. საგადასახადო წელი შემოწმებისათვის ღიაა ოთხი მომდევნო წლის განმავლობაში. თუმცა, ზოგიერთ ვითარებაში საგადასახადო წელი შეიძლება შემოწმდეს უფრო გვიანაც.

აღნიშნული გარემოებები საქართველოში ქმნის სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად მაღალ საგადასახადო რისკებს. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მან საკმარისი ოდენობით ასახა საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და მათი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მათი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება.

16. ფინანსური ინსტრუმენტები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	15,469	15,181
გაუფასურების გამოკლებით	15,469	15,181
სულ		
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	12,946	14,248
სულ	12,946	14,248

ფულისა და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნებისა და სავაჭრო გადასახდელების სამართლიანი ღირებულება, მათი მოკლე ვადიანობიდან გამომდინარე, საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებულია.

შპს „სვიცერ ჯორჯია“

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

17. ნაშთები და ოპერაციები მეკავშირე მხარეებთან

მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
	პირები	პირები
	ერთობლივ	ერთობლივ
	კონტროლქვეშ	კონტროლქვეშ
ფინანსური იჯარის მოთხოვნები (შენიშვნა #4)	12,511	11,698
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა #5)	388	162
სავაჭრო და სხვა გადასახდელები (შენიშვნა #9)	167	3,122
აღებული სესხები (შენიშვნა #8)	12,427	10,415

მოთხოვნები უზრუნველყოფილი არ არის და პროცენტი არ ერიცხება. მეკავშირე მხარეებთან არსებული მოთხოვნები არ რეზერვირდება.

მეკავშირე მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები შემდეგია:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
	პირები	პირები
	ერთობლივ	ერთობლივ
	კონტროლქვეშ	კონტროლქვეშ
შემოსავალი (შენიშვნა #10)	6,340	5,781
სხვა შემოსავალი	-	74
ტრენინგის ხარჯები	227	-
პროფესიული ხარჯები	608	611
ფინანსური ხარჯები (შენიშვნა #14)	717	1,164
ფინანსური შემოსავალი (შენიშვნა #13)	2,055	1,193

მთა ფაქტა

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N211085403



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.09.2021 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ზიურის მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციული ფართი #4, 3ა

სანოტარო ზიურის ტელეფონი

577921111

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

93981545843721



ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაცხრა სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ზიურის მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციულ ფართი #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის მანანა დავითაშვილის, დაბ. 17.09.1983წ. პირადი #01013015188, პირადობის მოწმობა #131B96864/დიპლომი #სტუ #018848, გაცემული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 21.03.2005წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს "სეციერ ჯორჯია" მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ თარგმანის ხელისმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან დოკუმენტის ნამდვილობას. გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 34.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 36 (ოცდაოთხი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება—გადამოწმება შესაძლებელია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(57) 2 66 19 18





შპს „სვიცერ ჯორჯია“

მცირე და საშუალო საწარმოების
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
(მსს ფასს)
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

შპს “სვიცერ ჯორჯია“

სარჩევი

გვერდი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები.....	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში.....	9
4. ფინანსური იჯარის მოთხოვნები.....	10
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
7. საწესდებო კაპიტალი.....	11
8. აღებული სესხები	12
9. სავაჭრო და სხვა გადასახდელები	12
10. შემოსავალი.....	12
11. პერსონალის ხარჯები	13
12. სხვა საოპერაციო ხარჯები	13
13. ფინანსური შემოსავალი	13
14. ფინანსური ხარჯები.....	13
15. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	14
16. ფინანსური ინსტრუმენტები.....	14
17. ნაშთები და ოპერაციები მეკავშირე მხარეებთან.....	15

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფინანსური იჯარის მოთხოვნა		11,471	10,877
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,471	10,877
მიმდინარე აქტივები			
ფინანსური იჯარის მოთხოვნა	4	1,040	821
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		44	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	997	179
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,961	3,303
სულ მიმდინარე აქტივები		4,042	4,303
სულ აქტივები		15,513	15,180
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	7	4,086	4,086
დაგროვილი მოგება		(1,521)	(2,814)
სულ კაპიტალი		2,565	1,272
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
აღებული სესხები	8	12,427	10,415
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	9	519	3,396
გადასახდელები დაქირავებულ პირთა მიმართ		2	96
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		-	1
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,948	13,908
სულ ვალდებულებები		12,948	13,908
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,513	15,180

დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 27 სექტემბერს:

ოლექსი კირიუნინი
მმართველი დირექტორის წარმომადგენელი

5-15 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სვიცერ ჯორჯია“

მოგება-ზარალი ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	10	6,340	5,781
მთლიანი მოგება		6,340	5,781
სხვა შემოსავალი		-	74
პერსონალის ხარჯები	11	(1,911)	(1,772)
რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(776)	(1,275)
პროფესიული მომსახურების ხარჯები		(133)	(675)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(750)	(560)
მენეჯმენტის ხარჯები		(671)	-
საოპერაციო მოგება		2,099	1,571
ფინანსური შემოსავალი	13	2,176	1,282
ფინანსური ხარჯები	14	(2,982)	(1,423)
მოგება მოგების გადასახადამდე		1,293	1,430
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		1,293	1,430
სულ წლიური მოგება		1,293	1,430

დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 27 სექტემბერს:

ოლექსი კირიუნინი

მმართველი დირექტორის წარმომადგენელი

5-15 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სვიცერ ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი (დეფიციტი)/მოგება	სულ
31 დეკემბერი 2018	4,086	(4,245)	(159)
სულ სრული წლიური შემოსავალი	-	1,430	1,430
31 დეკემბერი 2019	4,086	(2,814)	1,272
სულ სრული წლიური შემოსავალი	-	1,293	1,293
31 დეკემბერი 2020	4,086	(1,521)	2,565

დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 27 სექტემბერს:

ოლეგსი კირიუნინი
მმართველი დირექტორის წარმომადგენელი

5-15 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება/(ზარალი) გადასახადამდე		1,293	1,430
<i>არაფულადი შემოსავლებისა და ხარჯების კორექტირება:</i>			
საპროცენტო შემოსავალი	13	(2,176)	(1,282)
საპროცენტო ხარჯი	14	717	1,164
ვალუტის გაცვლით მიღებული ზარალი/(მოგება), წმინდა		2,265	259
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		2,099	1,572
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,958)	104
(კლება) სავაჭრო და სხვა გადასახდელებში		(2,910)	(1,332)
(ზრდა)/კლება მოგების გარდა სხვა წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(45)	872
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებების შემდეგ		(2,814)	1,216
გადახდილი პროცენტი		(707)	(1,239)
მიღებული პროცენტი		2,176	1,253
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული/(გამოყენებული) ნაღდი ფული, წმინდა		(1,345)	1,229
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		-	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობები აღებული სესხებიდან		-	-
აქციონერთა მიერ შენატანები აქციების გამოშვების გარდა		-	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა		-	-
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(1,345)	1,229
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		3	15
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	3,303	2,059
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,961	3,303

დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 27 სექტემბერს:

ოლეგსი კირიუნინი

მმართველი დირექტორის წარმომადგენელი

5-15 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „სვიცერ ჯორჯია“ („კომპანია“) დაარსდა 2017 წლის 8 ნოემბერს და ფუნქციონირებს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო „სვიცერ ეუროპ ჰოლდინგ ბ.ვ.“, ხოლო საბოლოო მაკონტრლებელი პირი - „ა.პ. მოლერ-მაერსკ გრუპი“.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია მოღვაწეობს სატერმინალო და უსაფრთხო საზღვაო მომსახურებების სფეროში. 2017 წლის 16 ნოემბერს შპს „სვიცერ ჯორჯიამ“ მეკავშირე მხარესთან, სს „ფოთის საზღვაო პორტის კორპორაციასთან“ გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება საბუქსირო მომსახურების მიწოდებასა და საბუქსირო გემების ქირაობაზე. სს „ფოთის საზღვაო პორტი“ არის კომპანიის ერთადერთი კლიენტი.

2020 და 2019 წლებში კომპანიას ჰყავდა საშუალოდ 33 დაქირავებული პირი.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა #52.

2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რის შედეგადაც, 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემიის მდგომარეობა. კოვიდ-19-ის გავრცელების შესაფერხებლად ბევრი ქვეყნის მიერ მიღებული ზომები ბევრ კომპანიას ოპერაციებს მნიშვნელოვნად ურთულებს და დიდი ზეგავლენა აქვს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სწრაფად ცვალებადმა სიტუაციამ შეიძლება საგრძნობი ეფექტი იქონიოს მრავალ სექტორში მოღვაწე ბევრ კომპანიაზე, მათ შორის, წარმოების შეწყვეტისა თუ ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების შეფერხების, პერსონალის კარანტინში გადასვლის, მოთხოვნის შემცირებისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო ბიზნესის ოპერირების შეფერხების თვალსაზრისით. შესაძლებელია, კომპანია დაექვემდებაროს კოვიდ-19-ის მხარდ ეფექტს გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე ზემოქმედების გამო. კომპანიის ოპერაციებზე კოვიდ-19-ის ზემოქმედების სიდიდე დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკებზე პანდემიის ეფექტის ხანგრძლივობასა და მის ინტენსივობაზე.

სავალუტო ბაზრის გაზრდილი მერყეობა და სხვა ვალუტების მიმართ ქართული ლარის გაუფასურება, შესაძლებელია, ასახავდეს კორონავირუსით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკსა და პანდემიისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების მომავალი განვითარების მოლოდინებს.

მენეჯმენტი უძღვრია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლებელია ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება მოახდინოს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ის ყველა ზომას ხმარობს კომპანიის ოპერაციების მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპით.

ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან თავისი მოსაზრებების გამოხატვას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობით ან სირთულით გამოირჩევა, ან სფეროები, რომელშიც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ამ ფინანსური ანგარიშგებისთვის, მე-3 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში მოქმედი ვალუტით, რომელშიც კომპანია საქმიანობს (შემდგომში „ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს მოქმედი კურსით. ასეთ ოპერაციებზე განხორციელებული ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტაციის შედეგად გამოწვეული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში - „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები“.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი სავალუტო კურსი ასეთია: 1 ევრო = 4.0233 ლარი (2019 წელს: 1 ევრო = 3.2095 ლარი); 1 აშშდ = 3.2766 ლარი (2019 წელს: 1 აშშდ = 2.8677 ლარი). ამჟამად, ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას არ წარმოადგენს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ქირის შემოსავლის მიღების მიზნით ფლობილი ქონება, რომელიც კომპანიას დაკავებული არ აქვს. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით. შემდგომი აღიარებისას საინვესტიციო ქონება აისახება სამართლიანი ღირებულებით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო გარემოებების გათვალისწინებით. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რაც მიღებული იქნებოდა ამ აქტივის ჩვეულებრივი ტრანსაქციით გაყიდვისას, ტრანსაქციის რაიმე ხარჯების გამოუკლებლად. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ამავე ადგილასა და მდგომარეობაში არსებული მსგავსი ქონების აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკში განთავსებულ ვადას დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალ-ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება და დგინდება, ხომ არ არსებობს მათი ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი ობიექტური მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც იგი გაიწევა ერთი ან მეტი ისეთი მოვლენის შედეგად, რაც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელმაც ზეგავლენა იქონია ფინანსური აქტივის ან მისი ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და დროზე, თუ ამ ორის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი. თუ კომპანიამ გადაწყვიტა, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივი, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, გაუფასურდა, კომპანიას ეს აქტივი შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების ჯგუფში და ჯგუფურად ამოწმებს მათ გაუფასურებას. ძირითადი ფაქტორები გაუფასურების ხარისხის დადგენისას არის ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზაციის შესაძლებლობა. გაუფასურების მტკიცებულების დასადაგენად აგრეთვე იყენებენ სხვა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, როგორებიცაა:

- კონტრაგენტი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაზეც მოწმობს კომპანიის მიერ მიღებული ფინანსური ინფორმაცია;
- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილების შედეგად, კონტრაგენტის გადახდისუნარიობა გაუარესდა.

გაუფასურების ხარჯის აღიარება ყოველთვის ხდება რეზერვის ანგარიშით და აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დადის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინება ის ფულადი ნაკადები, რომლებიც კომპანიამ შეიძლება მიიღოს საკონტრაქტო საქონლის შენარჩუნებით, უზრუნველყოფის მიღება-გაყიდვის ხარჯის გამოკლებით, იმის მიუხედავად, რეალურია თუ არა საქონლის შენარჩუნება.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ხარჯის ოდენობამ დაიკლო და ეს კლება ობიექტურად შეიძლება მიეწეროს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას, მანამდე აღიარებული გაუფასურების ხარჯი აღდგება და სარეზერვო ანგარიში შესწორდება მოცემული წლის მოგება-ზარალის მეშვეობით.

ფინანსური იჯარის მოთხოვნები. თუ კომპანია არის მეიჯარე ისეთ იჯარაში, რომლის ფარგლებში მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი მოიჯარეს გადაეცემა, იჯარით გაცემული აქტივები წარმოდგება როგორც მოიჯარეს და აისახება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ფინანსური იჯარის მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება იჯარის დაწყების თარიღში (როდესაც იჯარის მოქმედების ვადა იწყება), იჯარის მიღების თარიღში (საიჯარო ხელშეკრულების თარიღსა და მხარეთა მიერ ძირითადი საიჯარო პირობების შეთანხმების თარიღს შორის უადრესი) განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთით. სხვაობა მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებასა და აქტივის ღირებულებას შორის აღიარდება როგორც საინვესტიციო ქონების რეალიზაციით მიღებული ზარალი.

სხვაობა მთლიან მოთხოვნასა და მიმდინარე ღირებულებას შორის წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. ამ შემოსავლის აღიარება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში, წმინდა ინვესტიციის მეთოდით (გადასახადამდე), რომელიც ეფუძნება უკუგების მუდმივ, პერიოდულ განაკვეთს. მზარდი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იჯარის მოლაპარაკებასა და გაფორმებას, შედის ფინანსური იჯარის მოთხოვნის თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებაში და აკლდება საიჯარო ვადის განმავლობაში აღიარებულ შემოსავალს. იჯარიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში, ფინანსური შემოსავლის ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები. სავაჭრო და სხვა გადასახდელების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. იჯარა, რომლის ფარგლებში მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი ნარჩუნდება მეიჯარის მხარეს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. ასეთი იჯარის გადახდები (მეიჯარისგან მიღებული შეღავათების გარეშე) იჯარის ვადის განმავლობაში წრფივად ირიცხება მოგებაში ან ზარალში.

აღებული სესხები. აღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული ტრანსაქციის ხარჯების გამოკლებით. სამართლიანი ღირებულება დგინდება მსგავს ინსტრუმენტზე მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღებული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, ხოლო სხვაობა თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებასა და დაფარულ თანხას შორის მოგება-ზარალში აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სესხის მოქმედების პერიოდში.

აღებული სესხები მიმდინარე ვალდებულებებად კლასიფიცირდება, თუ კომპანიას არ აქვს უპირობო უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა საანგარიშგებო თარიღის შემდგომ სულ მცირე 12 თვით.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებაში განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებები მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, მითითებულია ფასდაკლებების, ამონაგების და დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით. კომპანია შემოსავალს აღიარებს: როდესაც შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის უტყუარად გაანგარიშება;

როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებელის შედინების ალბათობა კომპანიაში; და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილდება კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი. როდესაც ბარტერული გარიგების შედეგად მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულება უტყუარად ვერ ფასდება, შემოსავალი განისაზღვრება გაცემული საქონლის ან მომსახურებების სამართლიანი ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება დროითი პროპორციის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი აღრიცხულია საანგარიშგებო თარიღისათვის მთლიანად ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (აღრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

დაბეგვრის სქემის ცვლილების გამო ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი“ კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას. სტანდარტით ბასს 12 - მოგების გადასახადი განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალი კორპორაციული დაბეგვრის მოდელით აღარ გამოიყენება.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. დღგ-ის ჩათვლა ჩვეულებრივ ხდება საგადასახადო ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანო იძლევა დღგ-ის ურთიერთჩათვლის საშუალებას. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარებულია ურთიერთჩათვლის საფუძველზე. მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ტარდება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

2015 წლის 31 დეკემბრიდან მოყოლებული, მენეჯმენტი კომპანიის საგადასახადო ბალანსს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის ბრძანება 407-ის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება მათი გამოქვეყნების შემდეგ. გამოქვეყნების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების შესწორების უფლებამოსილება აქვთ კომპანიის აქციონერსა და მენეჯმენტს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას მოახდენს მომდევნო ფინანსური წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების კეთილგონიერულ მოლოდინებს. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გამოთქვამს გარკვეულ ვარაუდებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ვარაუდები, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, და შეფასებები, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააკოორექტიროს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, არის შემდეგი:

ფინანსური იჯარა და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. პირობების ანალიზის საფუძველზე, მენეჯმენტმა დაადგინა, რომ ფინანსური აქტივების მფლობელობის არსებითად ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი რჩება მოიჯარესთან. საბაზისო პირობები, რამაც იჯარის ფინანსურ იჯარად კლასიფიცირება გამოიწვია, შემდეგია:

- აქტივების იჯარის ვადა 10 წელია, ანუ აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის უდიდესი ნაწილი; ან
- იჯარის მიღებისას მინიმალური იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულება უტოლდება სულ მცირე საიჯარო აქტივის არსებითად მთლიან სამართლიან ღირებულებას.

მოგების გადასახადის აღიარება. საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვანწილად ინტერპრეტაციას ექვემდებარება, რამაც შეიძლება საგადასახადო ორგანოების მხრიდან, ჩვეულებრივ, კრიტიკა დაიმსახუროს. ყველა საანგარიშო თარიღზე, ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომ ნაკლებად სავარაუდოდ შენარჩუნდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან კრიტიკის შემთხვევაში იმ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომლებიც ამოქმედდა ან არსებითად ამოქმედდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის. ჯარიმებზე, პროცენტებსა და გადასახადებზე აღებული ვალდებულებები აღიარებულია საანგარიშო თარიღისთვის ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე. ფაქტობრივი დარიცხვები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

მეკავშირე მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანია გარიგებებს აფორმებს მეკავშირე მხარეებთან. ბასს 39-ის საფუძველზე, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, თუ ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია არამეკავშირე მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასის განსაზღვრა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

4. ფინანსური იჯარის მოთხოვნები

ფინანსური იჯარის მოთხოვნები (მთლიანი ინვესტიცია იჯარებში) და მათი მიმდინარე ღირებულებები იყო:

	1 წელიწადში დასაფარი	2-5 წელიწადში დასაფარი	5 წლის შემდეგ დასაფარი	სულ
ფინანსური იჯარის მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,528	9,056	6,132	19,716
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(2,550)	(3,691)	(964)	(7,205)
იჯარის მოთხოვნების მიმდინარე ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,978	5,365	5,168	12,511

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ფინანსურ იჯარაზე საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 813 ათასი ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური იჯარის მოთხოვნები არც ვადაგადაცილებული იყო და არც გაუფასურებული. ფინანსური იჯარის მოთხოვნის მთლიანი ნაშთი დენომინირებულია აშშ დოლარში.

ფინანსური იჯარის მოთხოვნები უზრუნველყოფილია საიჯარო აქტივებით, რადგან აქტივზე უფლება, კონტრაგენტის დეფოლტის შემთხვევაში, უბრუნდება კომპანიას. ამგვარი უზრუნველყოფა იყო:

	2020	2019
ფინანსური იჯარის მოთხოვნების უზრუნველყოფა: - საბუქსირე ხომალდები	12,511	11,698
სულ ფინანსური იჯარის მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,511	11,698

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობდა მხოლოდ არასრულყოფილად უზრუნველყოფილ აქტივებს. უზრუნველყოფად ფლობილი აქტივების ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია ქვემოთ:

	არასრულყოფილად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება
ფინანსური იჯარის მოთხოვნების უზრუნველყოფა: - საბუქსირე ხომალდები	9,321	12,020

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო მოთხოვნები	609	17
სავაჭრო მოთხოვნები მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა #17)	388	162
სულ სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	997	179
გადახდილი ავანსები	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	997	179

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არც ვადაგადაცილებული იყო და არც გაუფასურებული.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	1,961	3,303
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,961	3,303

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომელთა „ფიტჩის“ რეიტინგი არის BB-.

7. საწესდებო კაპიტალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „სვიცერ ეუროპ ჰოლდინგ ზ.კ.“ იყო 100%-იანი წილის მფლობელი. საწესდებო კაპიტალი მთლიანად შეტანილია ნაღდი ფულის სახით.

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

8. აღებული სესხები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
მეკავშირე მხარეებისგან აღებული სესხები (შენიშვნა #17)	12,388	10,385
დარიცხული პროცენტის გადასახდელები	39	30
სულ აღებული სესხები	12,427	10,415

აღებული სესხები წარმოდგენილია კომპანიასა და მის მეკავშირე მხარეს, „ა.პ. მოლერ-მაერსკს“ შორის გაფორმებული კომპანიათაშორისი სასესხო ხელშეკრულებით, რომელსაც დაფარვის ვადა გასდის 2020 წელს და ერიცხება საშუალო წლიური საკონტრაქტო განაკვეთი 12%. კომპანია ასრულებს ნახევარ-წლიან საპროცენტო გადახდებს.

სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მუხლში „ფინანსური ხარჯები“.

წმინდა სესხების შეჯამება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია წმინდა სესხის ანალიზი და ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებათა მოძრაობა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	2020	2019
1 იანვარს	10,415	9,919
დამატება წლის განმავლობაში	-	-
წლიური საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა #14)	717	1,164
საპროცენტო გადახდები	(707)	(1,239)
ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი	2,002	571
სულ აღებული სესხები 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,427	10,415

9. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო გადასახდელები	352	275
სავაჭრო გადასახდელები მეკავშირე მხარეების მიმართ (შენიშვნა #17)	167	3,122
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელები	519	3,396

10. შემოსავალი

მთლიანი შემოსავალი მიიღება პორტში საბუქსირო და გვერდითი მომსახურებით, რომელსაც კომპანია უწევს სს „ფოთის საზღვაო პორტის კორპორაციას“ 2018 წლის 12 მარტის მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

	2020	2019
შემოსავალი ბუქსირიდან და სხვა მომსახურებებიდან	6,340	5,781
სულ შემოსავალი	6,340	5,781

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

11. პერსონალის ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	1,188	1,053
დაზღვევის ხარჯები	49	35
პერსონალის ხარჯები მეკავშირე მხარეებისგან	-	29
გადაადგილების ხარჯი	5	57
სხვა ხარჯები	73	2
ქირის ხარჯები	96	23
პრემიები და სხვა ბენეფიტები	500	573
სულ პერსონალის ხარჯები	1,911	1,772

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	126	110
დაზღვევის ხარჯები	-	64
ქირის ხარჯები	-	58
მივლინების ხარჯები	66	55
მანქანა-დანადგარების დაქირავების ხარჯები	-	39
ტრანსპორტირების ხარჯები	25	10
ლიცენზიის გადასახადები	-	5
სხვა ხარჯები	533	219
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	750	560

13. ფინანსური შემოსავალი

	2020	2019
ფინანსური შემოსავალი	2,055	1,193
საპროცენტო შემოსავალი	121	90
სულ ფინანსური შემოსავალი	2,176	1,282

14. ფინანსური ხარჯები

	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	717	1,164
ვალუტის გაცვლით მიღებული ზარალი, წმინდა	2,265	259
სულ ფინანსური ხარჯები	2,982	1,423

15. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები. დროდადრო ბიზნესის მიმდინარეობისას კომპანია იღებს საჩივრებს. მენეჯმენტისეული შეფასებისა და კომპანიისშიდა და გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე, მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებული რეზერვის მიღმა საჩივრებისგან მატერიალური ზარალი მოსალოდნელი არ არის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და კანონმდებლობის ცვლილების, დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების სიხშირით ხასიათდება, რომლებიც არცთუ იშვიათად ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან ინტერპრეტაციის საგანია. გადასახადების გადახდა მოწმდება და ძიებას ექვემდებარება რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება, კომპანიას დააკისრონ მძიმე ჯარიმები, საურავები და პროცენტი. საგადასახადო წელი შემოწმებისათვის ღიაა ოთხი მომდევნო წლის განმავლობაში. თუმცა, ზოგიერთ ვითარებაში საგადასახადო წელი შეიძლება შემოწმდეს უფრო გვიანაც.

აღნიშნული გარემოებები საქართველოში ქმნის სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად მაღალ საგადასახადო რისკებს. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მან საკმარისი ოდენობით ასახა საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და მათი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მათი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება.

16. ფინანსური ინსტრუმენტები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	15,469	15,181
გაუფასურების გამოკლებით		
სულ	15,469	15,181
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	12,946	14,248
სულ	12,946	14,248

ფულისა და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო მოთხოვნებისა და სავაჭრო გადასახდელების სამართლიანი ღირებულება, მათი მოკლე ვადიანობიდან გამომდინარე, საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებულია.

შპს „სვიცერ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გაგრძელება)
(თანხები მოცემულია ათასობით ლარში)

17. ნაშთები და ოპერაციები მეკავშირე მხარეებთან

მეკავშირე მხარეებთან არსებული ნაშთები იყო:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
	პირები	პირები
	ერთობლივ	ერთობლივ
	კონტროლქვეშ	კონტროლქვეშ
ფინანსური იჯარის მოთხოვნები (შენიშვნა #4)	12,511	11,698
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა #5)	388	162
სავაჭრო და სხვა გადასახდელები (შენიშვნა #9)	167	3,122
აღებული სესხები (შენიშვნა #8)	12,427	10,415

მოთხოვნები უზრუნველყოფილი არ არის და პროცენტი არ ერიცხება. მეკავშირე მხარეებთან არსებული მოთხოვნები არ რეზერვირდება.

მეკავშირე მხარეებთან შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები შემდეგია:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
	პირები	პირები
	ერთობლივ	ერთობლივ
	კონტროლქვეშ	კონტროლქვეშ
შემოსავალი (შენიშვნა #10)	6,340	5,781
სხვა შემოსავალი	-	74
ტრენინგის ხარჯები	227	-
პროფესიული ხარჯები	608	611
ფინანსური ხარჯები (შენიშვნა #14)	717	1,164
ფინანსური შემოსავალი (შენიშვნა #13)	2,055	1,193